№ 14 4 თებერვალი, პარასკევი 1866—1877 4 თებერვალი, პარასკევი № 14

დროება

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

ГАЗЕТА „ДРОЕБА“

РЕДАКЦІЯ

Бзаовის ქუჩაზე, სტ. მელიქოვის და ამხ. სტამბაში, ამატუნის სახლებში. —

ХЕЛІС-МОЦВЕРА

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ контору редакціи газеты „Дроэба“, при типографіи Меликова. —

ГАЗЕТІС ФАСІ

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში — 4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.

Цалкე номери — ერთი შაური.

ГАМОЦДІС КВІРАОБАТІ, ОТХШАБАТОБАТІ ДА ПАРАСКЕОБАТІ

ГАНСАХАДЕБА

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე. —

ГАНСАХАДЕБІС ФАСІ

Диди асоебіт, асоზე — 1 კაპ., асо-мтавруліт, стріхонზე — 8 კაპ., цицероті, стріхонზე — 5 კაპ. და петитіт — 4 კაპ. —

Თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა. Даубечдели статиа авторс ар даубрундеба.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲧᲕᲔᲚᲘᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲘᲡᲝᲑᲘᲗ, ᲙᲕᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲐ; ᲨᲔᲛᲓᲔᲒᲘ ᲛᲔ-15 ᲜᲝᲛᲔᲠᲘ ᲒᲐᲛᲝᲪᲕᲐ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ.

ХЕЛІС-МОЦВЕРА ᲐᲛ 1877 ᲬᲚᲘᲡ

„ДРОᲔᲑᲐᲖᲔ“

მიიღება გაზეთის რედქციის კანტორაში, სტ. მელიქიშვილის და ამხ. სტამბაში (ბზაოვის ქუჩაზე, ნაპ. ამატუნის სახლებში).

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა შემდეგის ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: *Въ Тифлисѣ. Въ редакцію газеты „Дроэба“*

		მან.	კაპ.
ФАСІ	მთელი წლის გაზეთისა — —	8 —	„
	ექვსი თვისა — — — — —	4 —	50
	სამის თვისა — — — — —	2 —	50
	ერთის თვისა — — — — —	1 —	„

ХВЕДРІ ФАСІ ГАЗЕТІС ДАБАРЕБІСА-ТАНАВЕ УНДА ГАМОЦИГЗАВНОС РЕДАКЦІАШИ.

ЦАЛКЕ НОМЕРЕБІ „ДРОᲔᲑᲘᲡᲐ“ ІСЫИДЕБА:

ВАРТАНОВІС წიგნის მაღაზიაში (ქუკიის ხიდზე, მირზოევის შენობაში)
ᲒᲠᲘᲫᲣᲠᲝᲕᲘᲡ წიგნის მაღაზიაში (ქუკიის ხიდთან, ზუბალოვის სახლში)
„ᲙᲐᲠᲓᲐᲜᲐᲮᲘᲡ“ სარდაფში (სასახლის ქუჩაზე, არჭრუნის ქარვასლაში)
„ᲡᲣᲚᲗᲐᲜᲘᲡ“ თამბაქოს მაღაზიაში (სუდის ქვეშ)
ᲞᲐᲠᲘᲙᲛᲐᲮᲔᲠ ᲞᲘᲔᲠᲗᲐᲜ (პროსპექტზე)
ᲞᲐᲠᲘᲙᲛᲐᲮᲔᲠ ᲒᲠᲔᲒᲖᲣᲐᲠᲗᲐᲜ (სოლოლაკში)
ᲒᲠᲘᲒᲝᲚᲝᲕᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ („ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ“ სასტუმროს ქვეშ, მირზოევის სახლებში)

ᲤᲐᲡᲘ ᲗᲘᲗᲝᲗ ᲜᲝᲛᲠᲘᲡᲐ — 5 ᲙᲐᲞᲔᲘᲙᲘ

„ᲓᲠᲝᲔᲑᲘᲡ“

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲛᲔᲑᲘ

(„ხალხთა-შორის ტელეგრაფის აგენტობისა“)

ᲑᲔᲚᲒᲠᲐᲓᲘ, 1 (13) იანვარს. სერბიის მინისტრი რისტიჩი გაგზავნეს სტამბოლს ოსმალეთთან მორიგების თაობაზე მოსალაპარაკებელად.

ᲖᲔᲛᲚᲘᲜᲘ, 2 (14 თებერვალს. ჰორტის წინადადებაზე სერბიის მინისტრმა რისტიჩმა მისცა შემდეგი პასუხი: სერბია თანასმაა status quo'-ზე (ე. ი. იმავე მდგომარეობაში დარჩეს, როგორც ომიანობის დაწყებამდინ იყო), მაგრამ სერბია უარჰყოფს იმ მუსლებს, რომელიც თხოულობს, რომ ებრაელებსა და სომხებს თანასწორი უფლება უნდა ჰქონდესთ სერბიელებთანო; სერბია არ თანასმაედება აგრეთვე იმაზე, რომ ბელგრადში ოსმალეთის კონსული იყოს. ამაზე ედხემ-ფაშამ უპასუხა, რომ ის ხელს იღებს ზემოხსენებულ მუსლებზე. სერბიის მინისტრების რჩევამ გადაწყვიტა, რომ გაგზავნონ სტამბოლში ხრისტიჩი და მატიჩი და აგრეთვე თარჯიმნად ბაჩიჩი.

ᲛᲝᲦᲠᲘᲒᲔᲑᲘᲡ ᲜᲘᲨᲜᲔᲑᲘ

ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ თავმოყვარეობა ორგვარად დაკმაყოფილებული არის ამ ჟამად: ერთის მხრით იმან გაიმარჯვა ბრძოლის ველზე, დაამარცხა სერბია, რომელსაც, უეჭველია, მთლად აიკლებდა, თუ რომ რუსეთი არ გარეულიყო და ეს უთანასწორო ბრძოლა არ შეეჩერებინა.

მეორეს მხრით, ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲛᲐ გაიმარჯვა სტამბოლის ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲖᲔ. დიდი იმედი ჰქონდათ ამ კონფერენციისა, ეგონათ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘ ისეთს მდგომარეობაში არისო, რომ რასაც ᲔᲠᲝᲞᲐ უბრძანებს, ძალა-უნებურად უნდა შეასრულოსო. მაგრამ ნამდვილად კი ასე არ მოხდა: ბევრიც უბრძანს ᲔᲠᲝᲞᲘᲡ ექვსი უმთავრესი სახელმწიფოს წარმომადგენელთა, ბევრიც დაუთმეს, ბევრიც ურჩიეს; მაგრამ ᲝᲡᲛᲐᲚᲔᲗᲘᲡ [illegible] გადასცილებია და ამნაირად ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ იძულებული იყო უნამყოფოთ დაშლილიყო.

გამარჯვებული კაცი ყოველთვის

ᲤᲔᲚᲢᲝᲜᲘ

ᲛᲘᲬᲔᲠ-ᲛᲝᲦᲬᲔᲠᲐ ᲛᲔᲤᲘᲡ ᲔᲠᲔᲙᲚᲘᲡᲐ ᲨᲐᲛᲘᲠ-ᲐᲦᲐᲡᲗᲐᲜ

(ისტორიული მოთხრობანი)

ᲑᲔᲒᲚᲐᲠᲝᲕᲘᲐᲜᲗ ნათესავი, ᲨᲐᲛᲘᲠ-ᲐᲦᲐ, რომელიც გადასახლებულიყო ᲧᲐᲠᲐᲑᲐᲦᲘᲓᲐᲛ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲨᲘ, კარგი შეძლების პატრონი იყო. მას ჰქონდა მიწერ-მოწერა ᲔᲠᲔᲙᲚᲔ მეფესთან და ყოველთვის კარგ საჩუქრებსაც უგზავნიდა, ასე რომ წელიწადში ვიდრე 15,000 მანეთამდინ ფულსა და ნივთებსა. იმისი განზრახვა ის იყო, რომ ეგების ᲔᲠᲔᲙᲚᲔ მეფემ იშუამავლოს ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ მეფესთან, რომ ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘ შეისყიდოს ამისათვის.

რათგანაც ᲔᲠᲔᲙᲚᲔ მეფეს მიწერ-მოწერა ჰქონდა სხვა და სხვა ადგილებშიაც სომხებთან და სომხის მწერალი არა ჰყვანდა, მოიწვია ᲢᲔᲠ ᲓᲐᲕᲘᲗᲘ შაიკოვი თავის მდივნათ და ჯამაგირიც დაუნიშნა დებულებისამებრ მაშინდელი მდივნებისა, წელიწადში 7 თუმანი. მეფესთან, ვითარცა პირველნი სარდარნი სხდებოდნენ, ისიც იმათთან ჯდებოდა. შემდეგში ამ კარის კაცებს შეშურდათ, თუ ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ იმათთან რათა ჯდება. მეფეს მოახსენეს, რომ ეს რა რიგი არისო, რომ ჩვენ სარდალნი ვიყვნეთო, ერთი სომხის ᲢᲔᲠ-ᲢᲔᲠᲐᲪ მოვიდესო და ჩვენთან დაჯდესო წინაშე თქვენსა, და სთხოვეს, რომ ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲗᲘᲡ დაითხოვოს. ᲔᲠᲔᲙᲚᲔ მეფემ შეიწყნარა იმათი სათხოვარი და უთხრა, რომ დღეის შემდეგ დავითხოვო. იმათაც იამათ, რომ მეფემ შეიწყნარა იმათი სათხოვარი. შემდეგ რაოდენისამე ხნისა მეფეს მოუვიდა შიმირ-ᲐᲦᲐᲡ წერილი ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲓᲒᲐᲜ; მეფემ ეს წერილი აიღო და შეინახა. მეორე დღეს რომ მოვიდნენ იმისი სარდლები, მისცა ეს ᲨᲐᲛᲘᲠ-ᲐᲦᲐᲡ გამოგზავნილი წერილი იმათა და უთხრა: აბა ერთი ეს წამიკითხეთო. იმათ აიღეს, ნახეს, რომ სომხურია. მოახსენეს მეფესა: ეს სომხურია, ჩვენ არ ვიცით კითხვაო. მაშინ მეფემ უბძანა: თქვენ შნო არა გაქვთო და სხვასაც უშლით, რომ აღასრულოს ჩემი საქმეებიო. ᲙᲕᲚᲐᲕ მაგისთანა საქმეს ნუღარ გაბედავთ და მე ნუ დამიშლით; მე ჩემი საქმე უკეთ ვიცი თქვენზედა.

მაშინვე დაიბარა ᲢᲔᲠ-ᲓᲐᲕᲘᲗᲐ, მისცა წერილი; ამან წაიკითხა და მაშინვე პასუხიც მისწერა ᲨᲐᲛᲘᲠ-ᲐᲦᲐᲡ, და კიდეე შერიცხა მდივანების რიგში.

შემდგომში ბიორგი მეფემ მოიწვია ᲨᲐᲛᲘᲠ-ᲐᲦᲐ საქართველოში და გაუგზავნა ღრამოტა მთელი ᲚᲝᲠᲘᲡ მაზრისა და მასთანავე მიწის პლანიც*) წესიერად შედგენილი, რომელიც მისცა იმას საუკუნოდ მფლობელობასა შინა; მხოლოდ ᲨᲐᲛᲘᲠ-ᲐᲦᲐᲛ არ მოიწადინა მოსელა საქართველოში და არც მიღებად ᲚᲝᲠᲘᲡ მაზრისა.

*) ეს პლანი გაეკეთებინა თფილისის მცხოვრებელს იოსებ ᲢᲔᲠ-შმოვანოვსა.

Авт.

*) „Дроеба“, № 11.

ᲐᲕᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲝᲛᲐᲠ-ᲮᲐᲜᲘᲡ ᲓᲐᲠᲑᲔᲕᲐ ᲐᲮᲢᲐᲚᲘᲡ ᲛᲐᲓᲜᲘᲡᲐ

1783 წელსა ᲔᲠᲔᲙᲚᲔ მეფემ შეიტყო, რომ ᲐᲕᲐᲠᲘᲔᲚᲘ ᲝᲛᲐᲠ-ᲮᲐᲜ დიდის ჯარით მოდის სომხეთის წასახდენათ. მეფემ მოაგროვა საქართველოს ჯარი და ეგრეთვე მაშინ ერთი ბატალიონი რუსი იყო საქართველოში. წავიდა ᲑᲝᲠᲩᲐᲚᲝᲨᲘ, სადახლოს სოფელში დადგა ბანაკად, რადგანაც შეტყობილ ჰქონდა, რომ იქით უნდა გაიაროს.

ᲐᲛᲑᲐᲕᲘ მოუვიდა ᲔᲠᲔᲙᲚᲔს, რომ ᲝᲛᲐᲠ-ᲮᲐᲜᲘ მოდის 20 ათასის კაცითა. მაშინ ᲐᲠᲧᲣᲗᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲐᲚᲘᲮᲐᲜ მივიდა, ბატონს მოახსენა და სთხოვა, რომ სამოცი თუში მიბოძეო, მე წავიდე ამ ᲓᲔᲑᲔᲓᲘᲡ მდინარის ხეობაში, წინათვან მე გზას მოუჭრი ᲝᲛᲐᲠᲮᲐᲜᲡ, რომ შემოვა ხეობაში, თქვენი ჯარიც უკანიდამ მოვა და ამ რიგათ ისე ამოვწყვეტთ, რომ ვერავინ მორჩებაო, ამისთვის რომ ვიწროა ხევია, და შიგ დავამწყვდევთო, იქიდამ ვერსად გაიქცევიანო და უმეტესად ცხენოსანი ჯარიო. რათგანაც ადგილის მდებარეობა არ იცოდნენ იქ მყოფთა თავადის შვილებმა, გაიცინეს და სასაცილოთ ჩამოართვეს, რომ ᲐᲠᲧᲣᲗᲐᲡᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲐᲚᲘᲮᲐᲜᲛᲐᲝ უნდა სამოცის კაცით ᲝᲛᲐᲠ-ᲮᲐᲜᲘ დაამარცხოსო.

მერე ᲝᲛᲐᲜ-მდივანი ხერხეულიძე მივიდა, მეფეს საიდუმლოდ უთხრა: ბატონო, მტერს გზა უნდა მისცეთო.

იმავე დღესვე ᲝᲛᲐᲠ-ᲮᲐᲜ ᲧᲐᲖᲐᲮᲘᲡ მხრითგან მოვიდა, ᲓᲔᲑᲔᲗᲘᲡ მდინარეში გამოვიდა, ᲔᲠᲔᲙᲚᲔ მეფისაგან ოთხვერსტზედ სიმორეზედ, და შეუდგა ხსენებულს ᲓᲔᲑᲔᲓᲘᲡ ხეობასა, საცა მდებარე იყო ᲐᲮᲢᲐᲚᲘᲡ ვერცხლის მადანი თ. მელიქიანთ მამულში; აქ სიმაგრისათვის შეყრილ იყვნენ ᲑᲔᲠᲫᲜᲔᲑᲘ და ᲐᲮᲢᲐᲚᲘᲡ გარეშე სოფლების ხალხი, სომეხნი. ᲝᲛᲐᲠ-ᲮᲐᲜ პირ-და-პირ მივიდა ᲐᲮᲢᲐᲚᲐᲡ და იქ დაუწყო ბრძოლა ხალხსა, რომელნიც შეყრილ იყვნენ ეკკლესიის გალავანში; იმათაც სანამ ტყვია და წამალი ჰქონოდათ, არ დამორჩილებულიყვნენ, ებრძოლად, და როდესაც შემოაკლდათ წამალი, მაშინ გასტეხეს გალავნის კარები, შევიდნენ, რაცა ჰქონდათ სულ აიკლეს და 700 ტყვე დაიჭირეს, წაიყვანეს ᲓᲔᲑᲔᲓᲘᲡ ხეობაში, და ავიდნენ ᲣᲖᲣᲜᲚᲐᲠᲘᲡ სოფელში. იქიდამ ᲚᲔᲙᲔᲑᲛᲐ ტყვენი წაასხეს ᲐᲮᲐᲚᲪᲘᲮᲔᲡᲐ და იქ გაჰყიდეს. მეფის ჯარი იქ იდგა 12 ვერსტზედა და ვერაფერი შემწეობა მისცეს. ᲐᲛᲑᲝᲑᲔᲜ, ვითომც ᲔᲠᲔᲙᲚᲔ მეფე, რადგანაც ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡ მეფეთ იწოდებოდა, სურდა, რომ სომხეთი წახდეს და ხალხი აქედამ გავიდეს ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐ, და ისეც არის, რომ სომხეთიდამ მრავალნი გასულან ᲙᲐᲮᲔᲗᲘᲡᲐ და ეხლაც იქ იმყოფებიან.

Т. Иосэб Арлутинскі

(ბაგრძელება იქნება)

სულგრძელია. ამ პსიხოლოგიურ კანონის ძალით, უეჭველია, ოსმალეთიც უფრო მომეტებულ სულგრძელებას გამოიჩენს ახლა და ისეთს პირობებზე დათანხმდება, რომელიც დამარცხებული სლავიანებისაგან და განსაკუთრებით სერბიელებისაგან ადვილად მისაღები იქნება.

ამაშიც გვარწმუნებს აგრეთვე ის გარემოებაც, რომ, მიტჰხად-ფაშის შემდეგ, ძველი თაობის ოსმალოებს ჩაუვარდათ ხელში ოსმალეთის ბედი და ეს თაობა, როგორც მოგეხსენებათ, რუსეთის ყურ-მოჭრილ ყმად ითვლებოდა ყოველთვის.

უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში მიღებული ტელეგრამმები კიდევ უფრო გვარწმუნებენ იმაში, რომ ოსმალეთსა და სერბიას შუა მორიგების ჩამოგდება ადვილად მოსალოდნელია. გუშინ, ამ შენიშნვის წერის დროს, სხვათა შორის, ჩვენ მივიღეთ ზემომოყვანილი დეპეშა, რომელიც გვეუბნება, რომ უმთავრეს მორიგების პირობების მუხლებში ოსმალეთი და სერბია დათანხმდენო და სერბიამ ორი თვის წარმომადგენელი გაგზავნა კიდევ სტამბოლს საბოლოოთ ამ პირობებზე მოსალაპარაკებლადაო. უ რუსეთოდ, მართალია, სერბია და ჩერნოგორია არ მოურიგდებიან ოსმალეთს; მაგრამ წარსულ ნომერში მოვიყვანეთ ჩვენ ცნობა ერთის ინგლისურის გაზეთისა, რომელიც ამბობდა, რომ რუსეთმა შეუთვალა სერბიის მთავარს მილანსო, რომ შეგიძლიან მორიგების თაობაზე მოლაპარაკება დაიწყო ოსმალეთთან, მაგრამ ისეთის პირობებით კი უნდა მორიგდეო, რომ ეს პირობები არც სერბიისა და არც საზოგადოთ სლავიანებისათვის სამარცხვინო და დამამცირებელი არ იყოსო.

როცა პოლიტიკური გარემოებანი ამ გვარად გროვდებიან და თავსდებიან, მაშინ დიდი გამჭრიახობა და წინასწარმეტყველების ნიჭი არ უნდა ჰქონდეს კაცს, რომ სთქვას, მშვიდობიანობის ნიშნები სჩანსო და ომიანობა არ იქნებაო. ს. მ.

საქართველო

დღიური

*** დიდს უწესოებასა და უსამართლოების მოხდენას ლაპარაკობენ ჩვენს ქალაქში მილიციონერების აკრების დროს. როგორც მოგეხსენებათ, ქალაქს 192 კაცი უნდა წარედგინა. ქალაქის ზამგეობას ჰქონდა, რასაკვირველია, მინდობილი ამ ხალხის წარდგენა; ამან თავის მხრით ამოარჩია კაცები, რომელთაც ეს საქმე მიანდო. ამ ჟამად ყველა 192 კაცი ქალაქის მხრით წარდგენილია; მაგრამ, ამბობენ, რომ ზოგი ისეთი გაანთავისუფლეს წილის ყრისაგან, რომელთაც უნდა ეყარათო და ზოგს ისეთს აყრევინეს წილი, რომელნიც კანონით განთავისუფლებული უნდა ყოფილიყვნენო.

*** როგორ მიჩუმდა ქვეყანა ანდრეევსკის ქალის მოკვლის თაობაზე! ეს სამი თვე იქნება, მგონი, კაცი ხმას აღარ იღებს.

ქალაქში ლაპარაკობენ, რომ უფ. ა. ფიფინაშვილმა გაათავა ამ საქმის თაობაზე რომ გამოძიება ჰქონდა მინდობილი და გადასცა ოლქის სასამართლოსაო, რომლის პროკურორიც ამ ჟამად, უფ. დ. ჩხოტუის შესახებ, გამამტყუენებელ აქტს ადგენსო. თუ ეს ამბავი მართალია, მაშინ ამ საინტერესო საქმის საქვეყნოთ განხილვას მალე უნდა მოველოდეთ.

*** გაზეთს „კავკაზს“ მოჰყავს რა ქალების კურსების ცუდი მდგომარეობა რუსეთის ზოგიერთ უნივერსიტეტის ქალაქებში და შეადარებს რა ამას ჩვენი მომავალი კურსების საიმედო მდგომარეობას, ამბობს:

„ეს გარემოება, სხვათა შორის, განა არ გვიმტკიცებს იმას, რომ თფილისი უფრო ღირსია უნივერსიტეტით შემკობილი იყოს, ვიდრემ რომალიმე, სხვა ქალაქი, ვსთქვათ, ყაზანი ანუ ტომსკი?“

*** ჩვენი გორელი კორრესპონდენტი გვატყობინებს, რომ გასული იანვრის 21-ს ორს სახლს გასჩენია იქ ცეცხლი, ერთი სახელმწიფო ღიმპიტალს და მეორეც იქაურ სომხის შკოლის სახლს. მაგრამ, ღვთით, ორივე სახლი მშვიდობით გადარჩენილა, რადგან ამდროს ქარი არ ყოფილა და ხალხიც ძალიან მარჯვედ დახვედრია ცეცხლს.

ამ გარემოების თაობაზე, კორრესპონდეტი გვაცნობებს, რომ ბორში ამჟამად არც ერთი ცეცხლის საქროები მაშინა არ მოიძიებაო; თუმცა რამდენჯერმე იყო მხცოვრებლებში ამ საგნის თაობაზე ლაპარაკი, უნდოდათ ფული მოეგროებინათ და შოეტანიხებინათ, მაგრამ ვერ მოხერხდაო.

*** იგივე კორრესპონდენტი იქიდამვე გვატყობინებს, რომ იმ თვის 20-ს, საღამოს 9 საათზე, ყასაბმა ზურაბ აივაზაშვილმა მწოლარე ავათმყოფს მოხუცებულ წვრილშვილიან დედაკაცს სახლში შეუხტა და ხანჯალი ჩასცა გულშიო. დედაკაცი ჯერ არ მომკვდარა; დამნაშავე დაუჭერიათ, მაგრამ იმ დღესვე თავდებით გაუშვიათ.

*** ზუგდიდიდამ შემდეგ შემთხვევას გვწერენ, რომელიც გასული იანვრის 17-ს მომხდარა იქაურს ორკლასიან სასწავლებელში:

ჩვენი კორრესპონდენტის სიტყვით, შკოლას ექვსი ოთახი უჭირავს; ამათში კლასებად ოთხი ოთახია, დანარჩენ ორ ოთახში ერთში ბიბლიოთეკაა და მეორეში, როცა სწავლა არ არის, მასწავლებლები იყრიან თავსაო. აღნიშნულს რიცხვს, როცა მასწავლებლები ამ ოთახში ყოფილან, უეცრად შესულა იქ სასწავლებლის ზედამხედველი უფ. მიხეილ დიდებულიძე და გამოუცხადებია იმათთვის, რომ „ეგ ოთახი და სახლი ჩემია და თუ შეიძლება, გარეთ გაბრძანდითო!“ მასწავლებლებს ძრიელ გაჰკვირვებიათ ამ გვარი სიტყვები უფ. ზედამხედველისა და არ გამოსულან ოთახიდამ. მაშინ უფ. დიდებულიძეს მოუხმია თავის მზარეული ბიჭი და ერთი ვიღაც ნათესავი და დაუძახნია, ეს ავაზაკები გარეთ გაჰყარეთო. მასწავლებლები თავის ნებით გამოსულან ეარეთ, და ამ დროითგან ისინი, ამ ზამთარში, დილის 8 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდინ მუდამ გარეთ არიან, როცა სწავლა არა აქვთ.

ჩვენ არ გვჯერა, რომ ეს ამბავი სრულიად მართალი იყოს, თუმცა კორრესპონდენტი გვარწმუნებს ამის სინამდვილეში; მაგრამ რაიმე მსგავსი კი უნდა მომხდარიყოს....

„დროების“ კორრესპონდენცია

სიღნაღი, 25 იანვარს. სიღნაღის უეზდის გლეხს ახალ უეზდის უფროსის მოსვლამ რაღაც ახალი სანუგეშო იმედი მოუტანა, თუმცა გვიანღა არის...

ამ ერთის თვის წინათ უფ. უეზდის უფროსს ჰყვანდა დაბარებული ყველა მამასახლისები და მათი მწერლები მისაცემათ დარიგებისა, რომ იყოლიოს ყოველმა სოფელმა რიგიანი, გამოცდილი და კეთილ-საიმედო მწერლები, რადგან მათზედ არის დამოკიდებული ჩაგონება უწიგნო მამასახლის-სუდიებისაო. მარამ ამგვარი კაცი ძრიელ ძნელი საშოვნელია სოფლელი ხალხისაგან და თუ იშოვნება, ძნელი სანდოც უნდა იყოს, რადგან ყველანი თავიანთ დანახვით წაიყვანენ ხოლმე უწყალელი სუდია-მამასახლისების საქმის მსჯელობას, თუ დრო გამოშვებით თვითონ უეზდის უფროსიც არ დაუხედავს სოფლის მოხელეებთ, მათს მწერალს და კანცელიარიის საქმეების მსვლელობას.

ამ უკონტროლობამ დიდი ზიანი მიაყენა მთელს სიღნაღის უეზდის გლეხებს და უმეტეს სოფელს ახაშენს. დ. მისთვის, რომ იმდენი მამულები — ვენახები მთელს თელავის უეზდში არ იქნება გაყიდული, რაც ერთს სოფელს ახაშენში.

რათ იყიდებოდა ამდენი მამულები სიღნაღის უეზდში და რატომ არ იყიდებოდა თელავის უეზდში, ანუ სხვა უეზდებში? უ. თელავის უეზდის უფროსმა ბრენმა (აწ გადაყვანილმა), როგორც შემიტყვია, აცნობა უმაღლესს მთავრობას, რომ გლეხთ მამულები, რომლებსაც ორის წლის განმავლობაში პატრონის ვალის გარდახდა შეუძლიანთ, ერთის წლის შემოსავლის ფასზედ ნაკლებ იყიდებიანო და ამისათვის უმაღლესის განკარგულებით სრულებით შეწდგა მთელს თელავის უეზდში გლეხთ მამულების გასყიდვა 1870 წლიდგან. წარსულის წლის დამლევამდინ სიღნაღის უეზდში ტორგები არ შეწყვეტილა; ხშირად არავინ იცოდა — ვისი მამული ვის ვალში იყიდებოდა: ერთს პირს რომ ჰმართებოდა, არამც თუ მარტო იმისას ააწერინებდა ფულის პატრონი, იმის გვარისა და მომიჯნავეებისასაც კი თან ჩაატანდა და გამოტანა რისამე ფულიანი კაცის ხელიდამ ხომ მოგეხსენებათ ეშმაკსაც აღარ შეუძლიან... რამდენი სახაზინო იჯარით გლეხებზედ მიცემული მამულები გაიყიდა მათ ვალებში, ეს ეტყვიან მათ კიდეც? რამდენი ოცლებთ მამულები და სახლ-კარი გაიყიდა და საბრალონი, არაფრის მცოდნენი, უცებ სახლებიდამ იასაულებმა პრისტავებმა გამორეკეს? რამდენი ეზით საესე ვენახები გაიყიდა დღიური ერთსა და ორს თუმნათ იმ მიზეზით, რომ ფულის პატრონებს თვითონვე ჰყვანდნენ, თავის გაზომილის და „ოპის“ შედგენილის მამულების დამფასებლებიცა და მოვაჭრენიცა, ხოლო პრისტავის ხელობა გასყიდვის ნების თხოვნა და ტორგების მოხდენაღა იყო...ფულის პატრონებს ჰყვანდათ სოფლის მამასახლისი და (სუდიები) მწერლები თავიანთ ჯიბით დაჭერილები და თავიანთ ვალში ჩაფლულნი,—მეტადრე სოფლის ახაშენისანი სადაურს მამასახლისს ემართა 3,000 და მწერალს 5,000 მანეთამდინ ვალი სიღნაღელის ამირხანოვისა და, რასაკვირველია, როგორც ისურვებდა იმათი მფლობელი, ისინიც ისე მოიქცეოდნენ, ე. ი. მწერალი ღააწერდა სუდისა თუ პრისტავის უწყებებს მამასახლისის მაგივრ, „მივიღე ჩასაბარებლათაო“ და მოვალე კი ვერც ერთს უწყებას თვალით ვერა ჰნახამდა, ვიდრე ვენახიდამ არ გამოაბძანებდნენ უბედურსა და აი ამ ხრიკებით შეჰყარა ამირხანოვმა ს. ახაშენში ას დესიატინამდინ ვენახები და მის გვარათ სხვაგან სხვებმა. პატიოსანის სიტყვით გარწმუნებთ, რომ ქ--ის უჩასტკაში ერთმა სომეხმა სამი მანეთი მისცა პრისტავს ესა და ეს ვენახი მომყიდეთ, რადგან ამ სამ მანეთზედ მეტი არცა მაქვს და არცა ღირსო...

საოდავი მამულის ნაპატრონალ გლეხები ცდილობენ ერთის სულის მამის წინამძღოლობით და წირვა-ლოცვით გამოტანას. თუმცა ჯერ არაფერი საიმედო ამბავია, მაგრამ არცა მგონია, რომ იყოს რამე, ამიტომ რომ „ოთხის თუმნის მეტი ჯერ არ მიგვიციაო“, ამბობენ და აბა ამითი რა გარიგდება?...

ახლა გადავიდეთ წვრილმან პოლიციის ჩინოვნიკობაზედ. მცირე შენიშნვაზედ ჩაფრების ურადნიკი დ. უ., რომელსაც რამდენიმე ხუთი მანეთი გამოართმეულ ალაზნის მარცხენა მხრის მცხოვრებთაგან თავისისვე მიწერილობით ახალი გზების არხებისა გაფუჭების შტრაფებათ დროზედ წარუდგენლობისათვის ჩაუთვალეს ჯამიანობაში და სამსახურიდამ დათხოვნილი სამართალშიაც მისცეს; ამგვარ ქცევისათვის სიღნაღში არავინ არა ყოფილა დათხოვნილი, თუმცა ბევრი ქველ-მოქმედნი ბძანდებიან ამ გვარებში, საიდამაც, დროების უქონლობისაგამო, თითო-ოროლას მათგან ჩადენილის საქმისას მაინცარი მოვიყვან აქ, თუ ბევრს ვერ მოუცდი..

ღირსია თანამდებობისა უ. ნ., რომელმაც სასამართლოს პრისტავის შემოსავალი არ იკმარა და მეტის ნდომისათვის დათხოვნილი ეხლა უჯამაგიროთ მსახურებს უეზდის უპრავლენიაში? მარამ არა, ეს უჯამა-

გირო სხვაფრივ შრომობს და პატიოსანს (?) ოფლის პურსა სჭამს....

ღირსია თანამდებობისა უ. ხ., რომელიც საბრალო გლეხებს თავიანთის საქმის გარემოების (პასუხის საჩივარზედ) შეტყობინებისათვის თვითო მანეთსა სთხოვს და თუ არ მისცემენ, ორ-სამ წელიწადს საქმე გაუგებარი რჩებათ?

ღირსი იყო უუ. ზ. თანამდებობისა, მაშინ როდესაც, თუმცა მაზედ მინდობილი არ იყო, ხალხს თავიანთ მიზიდულს ქვიშას ახალ გზებზედ არ გაამლეკინებდა, ვიდრე რამდენსამე ხუთს მანეთს არ მიართმევდნენ, რა არი ქვიშა არხებში არ გადიბნას და მეორეთ მოსაზიდათ არ გაგვიხდეო? ამანვე იცოდა დაჭირდებოდა ხალხს, „თუ ათიოდე თუმანს მოგცემთ, ქვიშას სხვის სოფლის მგიერათ თქვენის სოფლის გზებზედ დაგაყრევინებთო და შემცდარნი გლეხნი ფულის მიცემით მაინც ვერ ასცდებოდნენ ხოლმე სხვა სოფლებში გზების მუშაობას. ამისგან გამოცხადებული შთავრობის განკარგულება ხომ სულ უკულმართათ ცხადდებოდა. მაგალითად, ბრალდებიდგან რომ ვინმე გაენთავისუფლებინა ოკრუჟნოი სუდს, ეს უცხადდება, „უნდა დაგიჭიროთ და თუ ორიოდე თუმანს მითავაზებ, შენი საქმე ჯარასავით დაბრუნდებაო.“ ამისი მხლებელი იასაულებისა რაღა მოგახსენოთ?... როცა იმათი ცხენები ლობიოს, ფეტეს, ხორბალს, მარილს და სხვა ამ გვარებს, ქერის მაგიერათა, სჭამდნენ, ისინი თვითონ რას არ შესჭამდნენ? ბოროტი ენები კი ამბობდნენ, რომ „ცხენებს კი არ აჭმევენ ყველა ამაებს, ერთს სოფელში აგროვებდნენ და იქიდამ შინ ეზიდებოდნენო. მარამ მე არა მჯერა ამიტომ, რომ ერთ ეახშამზედ, სადაც მეც შავესწარ, ცხრა ინდაური შეჭამეს და რაღა უნდა გადარჩომოდათ საშინაოთ? არც კი ამას ავიხირებ, იქნება საშინაოთ სხვები ჰყვანდეთ, სოფელში თითო ორ-ოლობიდგან ბევრი შესდგება ხოლმე.

ღირსია თანამდებობისა უუ. ჯ., რომელიც სიღნაღიდგან ლაგოდეხს მიმავალ გზებზედ ქვიშის დაყრას იჯარით იღებდა რომელთამე სოფლელებთაგან, ფულს თვითონ ჩაიდებდა და სხვას-კი აკეთებინებდა? ესევე დ. ჯ. ამ გზებზედ გაყვანილ ხალხს ნახევარს აყენებდა თავიანთ დანიშნულებაზედ და ნახევარს სხვა და სხვა თავის სასარგებლოთ ხის მასალას ამზადებინებდა.

ღირსია ის ჩინოვნიკი თანამდებობისა, რომელმაც ქარდანახში აფხაზისეულ ზვრის თავში გზის გაკეთება ნარდათ აიღო, ფული შეჭამა და გზა დღესაც ისევ გაუკეთებელია?

ღირსია ის ჩინოვნიკი თანამდებობისა, რომელიც ზბორჩიკებს სოფლის საზოგადოებისას უბრძანებს „ფოჩტის ფული ხაზინაში უჩემოთ არ შეიტანოთ, თორემ აგიკლებთო“ და რა შემინებულნი ორი იქნება თუ სამ თუმანს მიართმევენ, რა არის და „შინადამ ფული არავინ მოგვპაროსო“, ნებას მისცემდა „ახლაკი შეიტანეთო?“

სხვებზედაც რამა ვსთქვა? ან რაღა საჭიროა, ბევრის თქმა? როცა ნათქვამია: „როგორც ღედელი, ისეთი ერიო“ და მთელი სამეფოო ასეთი იქნება. ხედა, თუ გასწორება შეიძლება კაცის ხასიათ-ქცევებისა, ზემოთ ნალაპარაკევიც საკმარია....

ვინმე სიღნაღელი

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი

ერთს ფრანცუზულს გაზეთში მოყვანილია შემდეგი საინტერესო ცნობანი შესახებ ოსმალეთის მზადებისა მცირე აზიაში, ჩვენი ქვეყნის სამზღვარზე:

„მცირე აზიის ოსმალეთის არმია სამს კორპუსად არის გაყოფილი; ამ სამი კორპუსის უმთავრესი შტაბები იქნებიან: ერთი არზრუმში, მეორე ბათუმს და მესამეც ბაიაზეთს. თითოეულ ამ კორპუსაში იქნება 28 ბატალიონი ჯარი, 12 ესკადრონი და 48 არტილლერიის ზარბაზანი. (თითო ბატალიონში 850 კაცი ითვლება). 1 თებერვალამდინ იმედი აქვთ, რომ 100 ბატალიონს დაამზადებენ. ამას რომ ირრეგულიარული ჯარები მოუმატოთო, ამბობს ზემოხსენებული გაზეთი, გამოვაო, რომ მცირე აზიაში ოსმალეთს სულ 130,000 კაცი მზათ ეყოლება, რომ ბრძოლის ველზე გამოიყვანოსო.

ამ ჭარის უფროსად დანიშნულია სამიხ-ფაშა, რომელსაც ამას წინათ ჯარების დახედვის დროს, სხვათა შორის, შემდეგი სიტყვა უთქვამს:

„ჩვენ არა გვაქვს ჩვეულება, რომ ვისმეს შეურაცხყოფა მივაყენოთ ან ვისიმე უფლება დავარღვიოთ. მაგრამ, როცა ჩვენ თავს გვესმიან, როცა ჰსურთ, რომ ჩვენ გაგვუპატიურონ, როცა ჩვენი კანონიერი უფლებისა და დაუმოკიდებლობის დარღვევას მოინდომებენ, მაშინ ჩვენი მოვალეობაა ამგვარს განზრახვას წინ აღუდგნენ და ან გავიმარჯოთ ან თავი შევაკლათ მტერს.“

ამ სიტყვამ აღტაცებაში მოიყვანა ჯარებიო, ამბობს ფრანცუზული გაზეთის არზრუმელი კორრესპონდენტი, და საზოგადოთ, როგორც მე ვხედავ აქაო, თუ რუსეთთან ბრძოლა ატყდაო, დარწმუნებული უნდა იყენეთო, რომ ოსმალოები თავის თავს არ დაზოგავენო.

— ბუშინ მიღებულს პეტერბურღის გაზეთებში ცოტათი უფრო დაწვრილებული ტელეგრამმებია დაბეჭდილი შესახებ მიტჰხად-ფაშის დაცემისა. ამბობენ, რომ მიტჰხად-ფაშის მოწინააღმდეგე პარტია უკანასკნელ ხანებში ერთობ გაძლიერდა და ამ პარტიამ დიდი გავლენა მიიღო ხონთქარზედაო, ასე რომ სულთანი თან-და-თან უკმაყოფილებას უცხადებდა მიტჰხად-ფაშასაო. 22 იანვრიდამ მიტჰხადი არ გამოჩენილა თურმე სასახლეში; 25 იანვარს (6 თებ.) სულთანმა თავის ადიუტანტი გაუგზავნა მიტჰხადს, მოიხმო სასახლეში და აქედამ სულთანის ბრძანებით, პირ-და-პირ პატარა ცეცხლის გემში ჩასვეს და არხიპელაგის კუნძულებისაკენ გაისტუმრეს. ამასთან ერთად შვიდმეტი იმის დაახლოებული მომხრე პირებიც გაუგზავნიათ სტამბოლიდამ.

გერმანია

„მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილი ტელეგრამმა გვატყობინებს, რომ, შეიტყო თუ არა თ. ბისმარკმა მიტჰხატ-ფაშის დაცემა, იმ წამსვე ორ-ჯერ-სამჯერ მოელაპარაკა რუ ის ელჩსო. თ. ბისმარკის ჰაზრით, რომ, რუსეთსა და ოსმალეთს შუა ახლა უფრო მოსალოდნელია, ვიდრე მიტჰხატ-ფაშის განდევნამდინ იყო.

საგაასლო

სამაგალითო პედაგოგიური გამოსარჩლება*)

(შესახებ ბაასისა ი. ბოგებაშვილის „დედა ენაზედ“)

IV

სხოლასტიკურ სწავლას უფ. მარჯანიძე შეადარებს ახალ გერმანიის პედაგოგიას, რასაკვირველია, ისევ შემდეგი უშინსკის სიტყვებით, რომლებსაც ის თავისებს ეძახის:

„ახალი გერმანიის პედაგოგია (ქართულად ასე უნდა იყოს ნათქვამი: გერმანიის ახალი პედაგოგია, რადგანაც ზედ შესრული სახელი — „პედაგოგიას“ ეკუთვნის, და არა „გერმანიას“; მაგრამ მკითხველი მიხვდება, თუ რათ მოხდა ასე) ჩავარდა სხვა უკიდურებაში, დაუშვა მან სხვა შეცდომილება, რომლისაგანაც ეხლა ისევ ნელ-ნელა თავისუფლდება ანგლიის და მისი აზრის შემყურებელი (?). გერმანიის ახალ პედაგოგიას უნდოდა მრთლივ სწავლა საინტერესოდ გადაედნა ყმაწვილისათვის. მაგრამ ამისთანა ინტერესო სწავლა, თუმცა ხანის ყმაწვილსა, მაგრამ არ აძლევს მის ნებას არავითარ ვარჯიშობას (?), მაშასადამე არამც თუ არ უწყობს ხელს, არამედ კიდეც უშლის მასში დამოუკიდებელ ხასიათის გაზრდას“ *).

რაც შეეხება უკანასკნელ აზრს, მე ამაზედ აღარაფერს ვიტყვი; მაგრამ არ შემიძლიან აქ არა ვთქვა ორიოდე სიტყვა იმ შეხედულებაზედ, რაც აქ გამოცხადებულია შესახებ ნემენცების და ინგლისის პედაგოგიებისა. ეს, რასაკვირველია, უშინსკი გან ისე, სხვათა შორის, ნათქვამია, რადგანაც ამან სხვაგან უფრო ერცლად განიხილა ეს კითხვა და გამოსთქვა ცოტა სხვანაირი შეხედულობა, ვიდრე აქ. ეს იქნება აზრის შემოკლებისაგან მოხდა,—მაგრამ შეცდომილება შეპარებულია, და, სხვა უშინსკის აზრების უცოდინრობისაგამო და გამოურკვევლობისა გამო, ეს შეცდომილება უფრო მახვილ ხასიათს მიიღებს. ძიდე არ შემიძლიან არ გავიკვირო, თუ რისთვის მოუნდა ჩვენ პედაგოგს ამისი გადმოთარგმნა. თუ ამით უნდოდა მოკლეთ ეჩვენებინა შესამჩნევი ნიშნები და გარჩევა ინგლისის და ნემენცების შკოლებისა და აღზრდისა, ნუ თუ იმან ამაზე სწორე და უკეთესი მასალა ვერ იპოვნა გადმოსათარგმნავათა?! თუ ამით სურდა რეცენზენტი გაემხილებინა,—ეს ხომ სასაცილო საქმეა: ჯერ ერთი ეს, რომ ამნაირი იარაღით ვერავის ვერ დასძლევ; მეორეთ, რით გამოაცხადა რეცენზენტმა მოყვანილი აზრის წინააღმდეგობა? მით, რომ იმან სთქვა, გაუგებარი სტატიები წიგნში არ უნდა იყენენო? გამოაცხადა ამან რითიმე ნემენცური შკოლისადმი ნამეტანი მიდრეკილება? — სოლომონ-ბრძენო! გაგვიმარტე ეს კითხვები.

როგორც მკითხველი ხედავს, მოყვანილ აზრში ირჩევა ნემენცური აღზრდა მით, რომ აქ უფრო მომეტებულად საინტერესოს სდევნიანო. ჯერ საჭიროა აქ ვსთქვათ, რომ საზოგადოთ პედაგოგია, აღზრდა შემოიზღუდება ორი პირობით: ერთი არის საზოგადო-კაცობრივი, მეორე-კერძო, ხალხურ-ადგილობრივი. ყოველი კაცის სულიერი და ხორციელი გახსნა, ს

უნდა იყოს, ერთსა და იმავე სჯულებს ემორჩილება. ყოველი კაცი იღებს გარედამ შთაბეჭდილებთ; ეს შთაბეჭდილებანი წარმოდგენათ გადაიქცევიან, წარმოდგენანი—აზრებად და სხვ....

რაც ცოდნის მიღების მეთოდებს ეკუთვნის—ეს ყველგან ერთნაირი არის და კიდეც უნდა იყოს. ეს არის საზოგადო ნაწილი პედაგოგიისა, რადგანაც ექვემდებარება საზოგადო სჯულებს. ამ წრეში, როგორც იმ მეცნიერებათ წრეში, რომლებიც ამას ახელმძღვანელებენ, ჩემობა და შენობა არ სუფევს. ამას საზოგადო აღზრდის ისტორია შეურყეველად გვიმტკიცებს.

პირველად ახალი პედაგოგია, როგორც ახალი მეცნიერება, სწორე გზაზედ შეაყენა ინგლისელმა ბეკონმა. ერთი იმ სხივთაგანი, რომლითაც ამან გაანათლა მეცნიერიება, პედაგოგიასაც მოხვდა. ფრანცუზებს და ნემენცებს სრულებითაც არ მოუშალა ფრანცუზობამ და ნემენცობამ, რომ ეს საერთო ნაწილი პედაგოგიისა ბეკონისგან და ახალი მეცნიერებისგან გათხრილ კვალში ჩაეყენებინათ. ფრანცუზს მიშელ მონტენს ფრანცუზობამ სრულებითაც არ მოუშალა, რომ ინგლისიდამ შესრულ ახალი მეცნიერების თანხმად სწორე პედაგოგიური აზრები ექადაგნა და წარმოეთქო, სხვა მრავალ ძვირფას აზრებში, შემდეგი აზრი, რასაც ჩვენი პედაგოგები მეტად არღვევენ: „რაში გამოგვადგება ჩვენ ხორცით გატენილი სტომაქი, თუ მაში ჩადებულ ხორცს არ გადავაქცევთ ჩვენ ხორცად და ჩვენ სულად.“— სლავიანელს (სჯობია ნემენცობა დავარქვათ) ამოს ქომენიუსს სლავიანობამ სრულებითაც არ მოუშალა, რომ ესევე კითხვები და აზრები უფრო გაეხსნა. ჟენეველს (შვეიცარიელს) ჟან-ჟაკ-რუსსოს შვეიცარიელობამ სრულებითაც არ მოუშალა, რომ მონტენის აზრების და ამ კითხვებისთვის წინ წაეწია და, სხვა ბევრ შესანიშნავ აზრებში წამოეთქო ის, რასაც აგრეთვე ჩვენი პედაგოგები მეტად არღვევენ: „შენი თავისუფლება, შენი ნება პირდა-პირ შენი ბუნების ღონისაგან დამოკიდებულია,—და სხვა არაფრისაგან და არავისაგან. რაც ამ წრეს გარეთ იმყოფება,—მონება, ზმანება და სიცრუეა. ჭეშმარიტად თავისუფალ კაცს სურს მარტო ის, რაც შეუძლიან, და აკეთებს მარტო იმას, რაც მოსწონს, ესიამოვნება.“ ახალი პედაგოგიის მამას, ნემენცს ჰენრიხ პესტალოცის, ნემენცობამ სრულებითაც არ მოუშალა, რომ საზოგადოთ ესევე კითხვები და უფრო რუსსოს აზრები ამავე გზაზე უფრო წინ წაეყვანა და ახალი პედაგოგიისთვის მკვიდრი საფუძველი დაედო.

ერთის სიტყვით—ნათქვამი უნდა ვიკმარო—ამ ნაწილში ყველა ხალხების პედაგოგიები ერთ ძაფზეა ასხმული, ერთი მეორისაგან გამოდის, ერთი ერთმანეთსა ჰგავს, ერთმანერთზე აქვს გავლენა,—და ეს მიტომ კი არა, ვითომ ერთი მაინტერესებელი და სასიამოვნო იყოს, და მეორე კი არა. ამ მხრით, ყველაზედ უფრო საფუძვლიანათ პედაგოგია შემუშავებული აქვსთ ნემენცებს, და ამათ პედაგოგია, მეთოდების და სწავლის საშუალების შემუშავებას, ყველა პედაგოგიაზედ დიდი გავლენა აქვსთ, იქნება ეს ინგლისისა, საფრან-

*) „დროება“, № 13

**) Новая Германская педагогика впала было въ другую крайность и сдѣлала было другую ошибку, отъ которой теперь, впрочемъ, освобождается, подъ вліяніемъ ближайшаго знакомства съ Англіею и ея воспитаніемъ. Новая Германская педагогика хотѣла сдѣлать все ученье интереснымъ для ребенка .. Но такое интересующее ученье, развивая дитя, не даетъ ни какого упражненія его волѣ, а слѣдовательно, не только не способствуетъ, но еще мѣшаетъ развитію въ немъ самостоятельнаго характера“ (იქვე, 55 გვ.)

გეთისა, რუსეთისა, თუ კიდე სხვა ვისიმე.

მაგრამ, როგორც მოხსენებული იყო, აღზრდა და შკოლები, მეთოდების ხმარება,—ერთის სიტყვით, სწავლის პრაქტიკულათ წაყვანა ემორჩილება, გარდა ამისა, ხალხოსნურ ადგილობრივ, საზოგადობრივ და ყველა იმ გვარ მოვლინებათ, რითაც ერთი ხალხი, ერთი ალაგი ირჩევიან მეორე ხალხისაგან, მეორე ალაგისაგან. ამ შემთხვევაში, ყველა სახელმწიფოს და თვით ხალხოსნობასაც თავისებურად მიჰყავთ საქმე; ამათ შკოლებს სხვა და სხვა ბეჭედი აზის. უმთავრესი ტიპები ამ შკოლებისა მართლა ნემენცური და ინგლისური შკოლებია; ამ უკანასკნელ შკოლებს უფრო ემსგავსებიან ამერიკის, საფრანგეთის და შვეიცარიის შკოლები; მათს თავდაპირველი აღზრდას და ამისთვის მასალას ცოტა სხვა ხასიათი აქვსთ. მაგრამ ეს გარჩევა პირველ-დაწყებით აღზრდისა იმდენათ არის, რამდენათაც არის გარჩევა სხვა ცხოვრების მხარეებს შუა.

აღზრდის მიმართულება და შკოლების ხასიათი ორლანიულათ შენასკულია თვით საზოგადობრივ ცხოვრებასთან, ხალხოსნობასთან და სხვა უფრო კერძო და უფრო ინდივიდუალურ (თავისებურ) ნიშნებთან, და ამ შემთხვევაში შკოლების და სწავლის გადაკეთება რომელიმე ზომით და რომელიმე წონით, თუ ეს ზომანი და წონანი ეწინააღმდეგებიან ხალხის თვისებას, ხასიათს, გონებით სიმაღლეს—ამ ნაირი უგუნური მოქმედება ზოგიერთ მეტად ერთგული პედაღოგებისა მეტად საკვნებელია როგორც შკოლების კეთილდღეობისთვის, ისეც ხალხის სასარგებლო განათლებისთვის.

ის მეტის-მეტი გაწყობილება და წესიერება, მეტის-მეტი წრთვნა და შალაშინობა, მეტის-მეტი სისტემატიკა და ცხოვრებაში გამოუყენლობა, მეტის-მეტი პედანტობა და ფორმალისტიკა,—რაც შენიშნულია ნემენცების შკოლებში და მათ აღზრდაში, წარმოსდგება თვით ნემენცების საზოგადობრივ ცხოვრებისაგან, იმ პირობათაგან, რომელთ გავლენის ქვეშ გაიარა და მიდის ეს ცხოვრება; ეს არის ნიშანი ნემენცური მეცნიერებისა, ფილოსოფიისა და ლიტერატურისა. ბერმანიის შკოლა ჯერ კიდევ ცუდ პირობათაგან შეკრული და შებოჭილია, მას ბორკილი ვერ გაუფუნებია და საზოგადოების შესაძლებელ ძალათ არ გამხდარა, მას საკმარად ფრთები ვერ გაუშლია. შკოლამ რომ კარგათაც გაზარდოს, ცხოვრება მას თავისებურად გასთლის და გააშალაშინებს. ამიტომ ამ შკოლების მცოდნე ბარონ ჰორფი ამბობს, რომ თუმცა შვეიცარიის შკოლები ბევრად ჩამოურჩებიან ნემენცების და რუსების შკოლასაო, მაგრამ საზოგადოება აქ უფრო მაღლა სდგასო. თუ ნემენცების პედაღოგიაში ჩვენ ვხედავთ ამ ბოლო დროს ცვლილებას,—ამისი უმთავრესი მიზეზი ინგლისის აღზრდის გავლენა კი არ არის, თუმცა ეს გავლენა ყოველთვის ხდება,—ამისი მიზეზი მთელი ნემენცების საზოგადოების ცვლილებაარის, მისი წარმატება. ამ ნაკლულევანების წინააღმდეგ თვით ნემენცების უკეთესი თანამედროე პედაღოგებიც, პესტალოცცის და დისტერვეგის შემდეგ, ძლიერის ენერგიით აღიჭურვნენ.

ინგლის-ამერიკული შკოლები სხვა სახეს წარმოგვიდგენენ. აქ შკოლას უფრო პრაქტიკული მიმართულება აქვს, რადგანაც იქ ტეხნიკური სწავლა და განათლება ძლიერ მაღალ ხარისხზედ სდგანან. აქ შკოლა უფრო საზოგადოებასთან შეკავშირებულია, მას უფრო თავისუფალი ასპარეზი აქვს, რადგანაც თვით საზოგადობრივი გახსნაც მაღლა სდგას. აქ შკოლა არის უფრო შესამჩნევი ძალა, ამხანაგი თვით ცხოვრებისა. თუ შკოლა კარგათ ვერ წავიდა, აქედამ გამოსულს უფრო ფართო შკოლა—ცხოვრება—თავისებურად მოამზადებს.

როდესაც ბერმანიაში მასწავლებელი მეტად-მეტს შრომას იღებს თავზედ, თითქმის თითონ ატარებს შაგირდს გახსნაში და მის თავისუფალ მოქმედებას ცოტა ალაგს უშვებს,—ინგლისში მასწავლებელი განზედ სდგას, ის მხოლოდ ცოტა მეტად ეწევა, მარტო მასალას და სტატიებს უწყობს შაგირდის მოქმედებას, რომ ძალა არ დაატანოს მის თავისუფალ გახსნას, რომ ყმაწვილმა გასაგები ვარჯიშობანი, ცხოვრებაში უფრო გამოსაყენებელნი, გასაგები სტატიები თითონ შეიმუშაოს.—ინგლისური შკოლა ამ დროს ბერმანიაში არ შეიძლება: იქ ის არ მოთავსდება, მას გასთელავენ და გასჭყლეტავენ; აგრეთვე ბედს დააყენებენ ნემეცურ შკოლას ინგლისში. „ნემენცები სჭედავენ კაცის გონებას, ამბობს პროტეცი; ამერიკელნი, ინგლისელნი და ფრანცუზები სცდილობენ მის გალაზათიანებას, დასრულებას.“ მაგრამ ეს გარჩევა რომ მარტო მითი დავასახელოთ, ვითომ ბერმანიის შკოლაში სწავლა ყმაწვილების თვის მეტად სასიამოვნო და მაინტერესებელი იყოსო, და ამ სენისაგან ინგლისის პედაღოგია იხსნისო,—ეს რომ ვსთქვათ, ჩვენ დავატკიცებთ ჯერ ელემენტარულ პედაღოგიურ კითხვებში ჩვენი თავის უგუნურებას, მერე ინგლისის და ნემენცების შკოლის და განათლების სრულიად უცნობლობასა.

მეტად საეჭვოა, ვითომც ნემენცის ბოვშვი უფრო სასიამოვნოთ და საინტერესოთ ატარებს შკოლურ ცხოვრებას და სწავლას, მინამ ინგლიველი. არამც თუ ეს საეჭოა, ინგლიური შკოლის მომხრე პედაღოგები ამტკიცებენ, რომ იქაურ შკოლაში მყოფს ბოვშვებს უფრო არ სწყინდებათ შკოლური სწავლა, უფრო მრთელნი, ცოცხალნი და გონიერნი არიან რადგანაც იმათი ტვინი არ არის არევ-გადარეული მეტის-მეტი მასწავლებელის მოცადინეობით, იმისი დაძმარებულ “მიმყვანებული კითხვებით„, “სტატიების შემკობით და განმარტებით„, “სასაუბროებით, რომლებიც შეიცვენ თითქმის მთელ ბავშისთვის მისაწდომ სფერას საგნებისას„, “დიდაქტიურ ლონისძიებებით და ხერხებით„ და სხვა იმ გვარი ლამაზი ოსტატობით, რომლებითაც ჩვენი მოუმზადებელი მასწავლებლები ჭკლავენ ნორჩ ტვინში აზრს და ნებას. ახლა უნდა შევიდე ცოტა-ოდენ მსჯელობაში შესახებ მასწავლებელის როლისა პირველ-დაწყებით სწავლაში.

ბ. ჟურდღელაშვილი

(ბაგრძელება)

ნარევი

ინდოეთის ვიცე-კოროლს ლორდ ლიტონს განუახლებია „ცოცხალი ჭადრაკის“ თამაში, რომელსაც ადრე ინდოეთის მეფეები ხშირად თამაშობდნენ თურმე. ეს „ცოცხალი ჭადრაკი“ მდგომარეობს შემდეგში: ჭადრაკის ფიცრის მაგივრად ხმარობენ დიდ ხალიჩას, რომელიც, როგორც ნამდვილი ჭადრაკის ფიცარი, დაყოფილია წითელ და თეთრ ოთხ-კუთხებად; თითქო ოხ კუთხი არშინ ნახევარი სიგრძე და სიგანეა. ჭადრაკის ქვებს მაგივრად, სხვა და სხვა ნაირად და ფრად ჩაცმული კაცები დგანან ამ ოთხ-კუთხებზე და მოთამაშეების ბრძანებით ხან იქით გადადიან და ხან აქეთ.

ამბობენ, რომ, მაროკოს იმპერატორი მარტო ამით არ დაკმაყოფილდაო: რომ სრული მსგავსება ყოფილიყო ნამდვილ ჭადრაკის თამაშობასთანო, მართლა აკლეევინებდა ყველა იმ ცოცხალ ქვებს (კაცებს), რომელიც თამაშობის დროს ჭკლავდაო.

* * *

ერთს ახირებულ ამბავ-გვეკარ ჩვენ ბორიდამ:

ცხინვალელ ერთს გლეხს ერთი მამალი ჰყვესო, რომელიც, დაინახავს თუ არა დედა-კაცს ან გასაზოვარ ქალს, იმ წამსვე მიაფრინდება და სანამ ძალით არ მოაგლეჯენ, არ შორდებაო.

* * *

ეს ქვემო-იმერეთში მოხდა. ერთ გლეხკაცთან მკითხავი შესულა იმ დროს, როცა თვითონ გლეხი შინ არ ყოფილა და ცოლისათვის მკითხაობა დაუწყია. ამ დროს მამაკაციც შემოსწრებია.

— კარგათ იცი მკითხაობა? ჰკითხა გლეხმა მკითხავს.

— ძალიან კარგათ.

— არა მაინც, ყველაფერს გამოიცნობ, რაც სხვას ან შენ თავს-გადასავალი მოგივა?

— ყველაფერს ისე გამოვიცნობ, რომ არაფერი არ შემცდება.

— მაშ კარგიო! სთქვა გლეხმა, აიღო დიდი ჯოხი ხელში და უმოწყალოდ დაუწყო ამ მკითხავს ზურგში ცემა.... ბოლოს, როცა გული მოეჯერა ცემით, მიუბრუნდა და უთხრა:

— თუ კარგი მკითხავი ხარ, რატომ არ გამოიცან, რომ მე გცემდი, და რა მოგარბენინებდა ჩემთან!...

განცხადება

LA VELOUTINE

(ველუტინი)

ერთნაირი ბრინჯის კუდრი (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ისეთი ზედმოქმედება აქვს ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

კანს ეკერება და არა სჩანს.

შ. ფაი—გამომგონი

pommade satin

(ატლასის პომადა)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუსკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—101

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. .	—	—	—	—	-	68	-	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ყვირილა .	—	—			5	81	3	23
ქუთაისი. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	—	—			8	57	4	76
ფოთი. . .	11	44			9	75	5	42
ფოთი . .	8	40						
ახ.-სენაკი.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ქუთაისი .	11	51			3	4	1	69
ყვირილა. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი .	10	16	7	24	9	75	5	42

ცეცხლის გემები

ა) ფოთიდამ მიდის:

ოდესისკენ—ხუთშაბათს დილით.

სტამბოლს—კვირაობით, დილას.

ბ) ოდესსიდამ:

ფოთისკენ—ხუთშაბ., ნასად. 3 საათ.

სტამბოლს—ოთხშაბათს, შუადღეზე

ფოთიდამ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ბერჩამდი. .	20	50	15	50	5	„
ტაგანროგ.	34	„	27	„	8	60
ოდესამდი.	38	„	30	„	9	60

ტელეგრაფი

	მ.	კაპ
ოცი სიტყვა თფილისიდამ:		
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნახს		50
როსტოვს ოდესას მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში.	3	75

ფოშტა

ა) თფილისიდამ:

სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., ოზურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაფ. და შაბ. ქახეთს — სამშ. და შაბ.

ბ) ქუთაისიდამ:

თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ. ზუგდიდს—ოთხშაბ.

გ) ბორიდამ.

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

დ) ფოთიდამ:

ყოველგან ყოველ დღე, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ღია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი) .	8

ბირჟა

პეტერბურგი, 29 იანვარს.

ერთი მანეთი ღირს:

	მან.	კაპ
ლონდონში $3^1/_2$ პენსი.	—	84
პარიჟში $313^1/_2$ სანტიმი.	—	89
ესკონტი (სარგებლისფასი)	$7^1/_2$	—
ბანკის ბილეთი 5%	95	25
მოგებიანი (პირველისესხი)	190	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	190	50
ბირაოს ფურცლები:		
თფილ. საახნ. ბანკისა.	—	--
ხერსონის ბანკის ($5^1/_2$)	82	75
მოსკოვის (5%). . . .	81	50
აქციები:		
ოდესის სავაჭრო ბანკის	250	—
ფოთი-თფილ. რკინ. გზის	—	—
შავიზღვის ცეცხ. გემების	497	—
კავკაზის და მერკურის. .	206	—
პირვ. საზღვევ. საზოგ.	727	50
პეტერბ. საზღვევ. საზ.	235	50
მოსკოვის საზღვევ. საზ.	269	—

მაზანდა

	მან	კაპ.
თფილისი, 3 თებერ.		
პური შორაგალის ფთ.	1	35
ქერი ფუთი. . . .	1	—
ბამბა ერევნისა, ფუთი .	5	60
—ამერიკისა, ფუთი. .	6	20
ბაპენტილი ბამბა ფთ.	7	—
მატყლი თუშური ფთ .	6	70
—თარაქამისა ფთ. .	4	—
აბრეშუმი ნუხური სტ.	3	—
ქონი, ფუთი. . .	4	—
ქონის სანთელი ფუთი.	5	—
სტეარინის სანთელი, ფ.	11	60
ხორცი ძროხისა, ლიტ.	—	65
—ცხერისა, ლიტრა. .	—	72
სპირტი, ვედრო. . .	8	—
შაქარი, ბროკ. ფუთი .	7	80
— ფხვნილი ფუთი . .	5	40
ყავა გრგვალი, ფუთი .	20	—
ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	5	30
ოქრო $^1/_2$ იმპერიალი. .	7	—

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Февраля 1877 г. Типографія Меликова и К°. გამომცემელი ს. მელიქიშვილი რედაქტორი ს. მესხი.